მემორანდუმი

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ა(ა)იპ "ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევით ცენტრს" შორის თანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი 13 მაისი 2016 წელი

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში „აკადემია“) წარმოდგენილი აკადემიის პრეზიდენტის გურამ ალექსიძის სახით და ა(ა)იპ „ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრი“ (შემდგომში ,,BrTRC“)წარმოდგენილიმისი დირექტორის ნიკოლოზ ზაზაშვილის სახით, მეცნიერების სფეროში საერთო ინტერესების გათვალისწინებით და ურთიერთკავშირების განვითარების მიზნით თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1: მემორანდუმის საგანი

1. აკადემიასა დაBrTRC-ს შორის თანამშრომლობა მეცნიერებასა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის სფეროში.

2. აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება საერთო ინტერესებსა და თანაბარ ურთიერთობათა საფუძველზე.

მუხლი 2: მემორანდუმის მიზანი

მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით, ერთობლივი ძალისხმევით დაგეგმონ და განახორციელონ:

1. აგრარულ სფეროში აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის ერთობლივი შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის ორგანიზება.

2. მხარეების ერთობლივი მონაწილეობა აგრარული მიმართულების პროექტებსა და პროგრამებში.

3. ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმის, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება.

4. გამოცდილების გაზიარება აგრარული მიმართულების თანამედროვე მეთოდების, სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში.

5. მეცნიერთა ურთიერთდახმარება აგრარული სფეროს აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტაში, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაში და სხვ.

მუხლი 3: მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისშესრულების უზრუნველსაყოფად აკადემია და კვლევითი ცენტრი იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მოქნილი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.

2.მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. წინამდებარე მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები თანამშრომლობის შემდგომ პროცესში უზრუნველყოფენ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

4.წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იმოქმედებს მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე პუნქტი მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის, იურიდიულ ძალაზე ან კანონიერებაზე.

5. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 4: ფორს-მაჟორი

1. მემორანდუმის პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მემორანდუმის მხარეთა შცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვ.

3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მემორანდუმის დამდებმა მხარემ , რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხებით, რომლებიც დამოკიდებული იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 5: დავის გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი6: ზოგადი დებულებები

1.წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
3. მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მუხლი 7: მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. ვადის გასვლამდე რომელიმე მხარის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ წერილობითი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, მემორანდუმი ავტომატურად გაიზრდება ერთი წლის ვადით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
ვიცე–პრეზიდენტი
აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე
.....

„ბიორაციონალური ტექნოლოგიების
კვლევითი ცენტრის“
დირექტორი
ნიკოლოზ ზაზაშვილი
.....